სსიპ კოლეჯი „ერქვანი“

პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების

კატალოგი

2025 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

სსიპ კოლეჯის ისტორია **4**

მისია **5**

ხედვა **5**

ღირებულები **5**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები **6**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ 7

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცვა“ 10

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ 13

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ 16

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ 19

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამები **22**

პროფესიული მომზადების პროგრამა „თაბაშრ-მუყაოს სპეციალისტი“ 23

პროფესიული მომზადების პროგრამა „კედლისა და იატაკის მოპირკეთება ფილებით“ 25

პროფესიული მომზადების პროგრამა „სასოფლო სამეურნეო დანიშნულების თვლიანი ტრაქტორის ოპერატორი T კატეგორია) 27

პროფესიული მომზადების პროგრამა „ მარნის მასპინძელი“ 29

პროფესიული გადამზადების პროგრამა „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გავრცელებული დაავადებების ამოცნობა და მათი მართვა“ 31

პროფესიული გადამზადების პროგრამა „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნორმირებული კვება“ 33

პროფესიული გადამზადების პროგრამა „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმერული მეურნეობის მართვა“ 35

პროფესიული გადამზადების პროგრამა „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერება“ 37

პროფესიული გადამზადების პროგრამა „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის პირველადი დამუშავება“ 39

პროფესიული მომზადების პროგრამას „მეცხოველეობა-მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლა-შენახვა“ 41
პროფესიული მომზადების პროგრამა „ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი“..... 43
მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგის შეფასების წესი..... 45
სამუშაოზე დაფუძნებული /დუალური სწავლების პირობებში, კოლეჯში/საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასება. 47
პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის მსმენელთა შეფასების მეთოდოლოგია 48

სსიპ კოლეჯის ისტორია

ქ. ამბროლაურში, 1981 წლიდან ფუნქციონირებს პროფესიული სასწავლებელი. სხვადასხვა პერიოდის რეფორმების შედეგად რამოდენიმეჯერ შეიცვალა სახელწოდება, ფუნქცია და მდებარეობა:

1. 1981-1982 წლები -ამბროლაურის №147 სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი
2. 1982-1984 წლები - ამბროლაურის N156 სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი.
3. 1984-1990 წლები - ამბროლაურისN156 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი.
4. 1990-1991 წლები - ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი.
5. 1991-2001 წლები - ამბროლაურის N156 სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი
6. 2001-2008 წლები - ამბროლაურის პროფესიული სასწავლებელი
7. 2008-2011 წლები - ამბროლაურის პროფესიული სწავლების ცენტრი
8. 2011-2019 წლები - სსიპ პროფესიული კოლეჯი ,, ერქვანი''
9. 2019 წლიდან ფუნქციონირებას, როგორც სსიპ კოლეჯი ,, ერქვანი"

2018 წლის 20 სექტემბრის „საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ", შეცვლილი საკანონმდებლო ბაზის შესაბამისად, შეიცვალა წესდება (2019 წლის 19 ივნისი) და ჩამოყალიბდა სსიპ კოლეჯი „ერქვანი", როგორც რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება.

აღნიშნული სასწავლებელი განთავსებული იყო მისთვის სპეციალურად აშენებულ იმ დროისთვის თანამედროვე შენობა ნაგებობაში, შესაბამისად ფლობდა საკმაოდ კარგ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. 1991 წელს მომხდარმა მიწისძვრამ და იმ დროისთვის დამახასიათებელმა მოვლენებმა, თითქმის მთლიანად გაანადგურა აღნიშნული ბაზა. 1991 წლიდან სასწავლებელმა ფუნქციონირება გააგრძელა ამბროლაურის ყოფილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ტერიტორიაზე გურგენიძის ქ. №10-ში (აღნიშნული ტექნიკუმი გაუქმდა 1989 წელს).

საქართველოს განათლების, ახალგაზრდობისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2011 წლის ივლისში დაიწყო და 2013 წლის სექტემბერში დასრულდა ახალი თანამედროვე ტიპის სასწავლო კორპუსის მშენებლობა ქ. ამბროლაურში ვაჟა-ფშაველას ქ. N10-ში.

2020 წლის ნოემბერში დაიწყო და 2021 წლის ივლისში დასრულდა სასწავლო-სახელოსნოების მშენებლობა გურგენიძის ქ. №10-ში. შრომის ბაზრის მოთხოვნის და დასაქმების სფეროების შესაბამისად სასწავლებელი ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, მომზადება/გადამზადების პროგრამებს. ასევეახორციელებდა მოკლევადიან მომზადება/გადამზადების კურსებს UNDP-ის და USAID-ის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით სხვადასხვა სფეროებში და პროფესიებში: სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, გადამამუშავებელი მრეწველობა, ტურიზმი, ხელოვნება და სხვა

მისია

შრომის ბაზრის გაზრდილი და სწრაფად ცვალებადი მოთხოვნების შესაბამისად ბენეფიციარებს, კოლეჯის მრავალპროფილურობის და მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, ასაკის შეუზღუდავად მისცეს შესაძლებლობა, დაეუფლონ პროფესიას, შეიცვალონ პროფესია ან აიმაღლონ კვალიფიკაცია პრინციპით: პროფესიული განათლება მთელი სიცოცხლის მანძილზე წარმატებული დასაქმებისათვის და ამით შეიტანოს თავისი წვლილი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

ხედვა

- რეგიონში, დაიკავოს და შეინარჩუნოს ლიდერი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პოზიცია;
- მოამზადოს, თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური კონკურენტუნარიანი სპეციალისტები;
- მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს რეგიონის და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ინოვაციების დანერგვით, პროფესიული განათლების დონეზე;
- ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და შეთავსებადობა.

ღირებულები

- მაღალკვალიფიციური სპეციალისტი- წარმატებული მომავალი.
- პროფესიული განათლება მთელი სიცოცხლის მანძილზე, წარმატებული დასაქმებისა და კეთილდღეობისათვის.
- დასაქმებული, თვითრეალიზებული საზოგადოება და ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფო.
- სწავლების მაღალი ხარისხი, ორიენტირება სტუდენტებზე, დაინტერესებულ მხარეებსა და შრომის ბაზარზე.
- გუნდური მუშაობა, თანასწორობა, სამართლიანობა, საჯაროობა, პროფესიონალიზმი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

სსიპ კოლეჯ „ერქვანს“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის N144, 2021 წლის 17 ივნისის N584941 და 2021 წლის 17 ივნისის N584943 გადაწყვეტილებებით მინიჭებული აქვს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

- ელექტროობა
- ბუღალტრული აღრიცხვა
- ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
- თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი
- იატაკისა და ფილის სამუშაოები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში/Basic vocational Qualification in Electricity

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საბაზო განათლება

აპლიკანტთა შერჩევი ფორმა

მოტივაციური გასაუბრება

პროგრამის მოცულობა:

ელექტროობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტა ჯამური რაოდენობა:

- ქართულენოვანი ჯგუფებისათვის 52 კრედიტი /1300 სთ /
- არაქარქართულენოვანი ჯგუფებისათვის 67 კრედიტი /1675 სთ /

პროგრამის ხანგრძლივობა

- ქართულენოვანი ჯგუფებისათვის 41 კვირა (10 თვე)
- არაქარქართულენოვანი ჯგუფებისათვის 61 კვირა (14 თვე)

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები

ელექტროობის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში ელექტრულ დანადგარებისა და სხვა ელექტრულ აპარატურის მომსახურე პირად:

დასაქმების პოზიციები შესაძლებელია იყოს:

- ელექტრიკოსი
- ელექტროტექნიკური სისტემების მემონტაჟე
- შენობის ელექტრიკოსი
- მომმარაგებელ-ელექტრიკოსი
- ელექტრო-მექანიკოსი

- ელექტროგაყვანილობის და ფიტინგების მემონტაჟე
- განათების სისტემების მემონტაჟე
- ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის მემონტაჟე
- დამცავი სიგნალიზაციის მემონტაჟე
- ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების მემონტაჟე
- ასფრენ-დასაფრენი ბილიკების განათების მემონტაჟე
- მზის ენერგიის ელექტრული კოლექტორების მემონტაჟი

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება დაბალი ძაბვის ელექტროობაში.

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

1. გაუწიოს დაზარალებულს პირველადი სამედიცინო დახმარება;
2. გამოიყენოს ელექტრული ტექნოლოგიები, ელექტროობის წარმოების, გადაცემისა და განაწილების საშუალებები;
3. დაამონტაჟოს და შეამოწმოს განათება და ელექტრული წრედები საშინაო და მცირე საწარმოო გარემოში;
4. მოიპოვოს და გამოიყენოს საინჟინრო ინფორმაცია საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებით;
5. გამოთვალოს ფიგურათა მოცულობა, ფართობი და გამოიყენოს მონაცემთა გამოსახვის სტატისტიკური მეთოდები;
6. წაიკითხოს და დახაზოს საინჟინრო ნახაზები სხვადასხვა ტექნიკის, მათ შორის კომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვის სისტემის (CAD) გამოყენებით;
7. შექმნას და წარადგინოს პროექტი.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში / Higher Vocational Qualification in Accounting

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

სრული ზოგადი განათლება

აპლიკანტთა შერჩევი ფორმა

NAEC-ის ტესტი (რაოდენობრივი წიგნიერება)

პროგრამის მოცულობა:

ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტა ჯამური რაოდენობა:

- ქართულენოვანებისათვის კრედიტთა ჯამური რაოდენობა არის 99 კრედიტი /2475 სთ/
- არაქართულენოვანებისათვის 129კრედიტი/3225 სთ/

პროგრამის ხანგრძლივობა

- ქართულენოვანებისათვის 79 კვირა (20 თვე)
- არაქარქართულენოვანი 99 კვირა (25 თვე)

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები

ბუღალტრულ აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს კერძო და საჯარო უწყებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში საბუღალტრო და საფინანსო სამსახურებში, აუდიტორულ და საკონსულტაციო კომპანიებში მთავარ ბუღალტრად, ბუღალტრის თანაშემწედ/ასისტენტად, ბუღალტერ-მოანგარიშედ. შესაძლებელია თვითდასაქმებაც, კერძო პროფესიული პრაქტიკის განხორციელების გზით.

პროგრამის მიზანი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს კვალიფიციური ბუღალტერის მომზადება, რომელიც შეძლებს მონაწილეობის მიღებას სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო ორგანიზაციის/დაწესებულების ან პირის სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში; ფინანსური, ბუღალტრული ანგარიშებისა და ჩანაწერების შემოწმებასა და ანალიზს, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა დადგენილ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან; განახორციელებს ბუღალტრულ გატარებებს; შეადგენს და დადგენილი წესით წარადგენს საგადასახადო დეკლარაციებს; უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების

გადარიცხვას სახელმწიფო ბიუჯეტში; ასევე შეძლებს ფინანსურ ანგარიშგების, პირველად სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსურ დოკუმენტაციის შედგენას გარე და შიდა მომხმარებლებისათვის.

სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

1. შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა
2. შეავსოს და არგუმენტირება გაუკეთოს სამუშაო ფორმებს (სააღრიცხვო დოკუმენტები)
3. აწარმოოს ბუღალტრული ოპერაციები
4. შეავსოს და გააგზავნოს დეკლარაციები
5. მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება
6. აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა ეკონომიკური საქმიანობის ზოგიერთი სახეობის მიხედვით
7. აწარმოოს კონტროლი სამეურნეო სუბიექტის საბუღალტრო აღრიცხვაზე
8. აწარმოოს მმართველობითი აღრიცხვა
9. შეასრულოს ეკონომიკური ანალიზი.სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ აპირებს ავტორიზაციის გზით დაიმატოს და გამოაცხადოს 2019 წლის საშემოდგომო მიღება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:



მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საბაზო განათლება

აპლიკანტთა შერჩევი ფორმა

მოტივაციური გასაუბრება

პროგრამის მოცულობა:

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტა ჯამური რაოდენობა:

- ქართულენოვანებისათვის არის 61 კრედიტი /1525 სთ/
- არაქართულენოვანებისათვის 76 კრედიტი /1900 სთ/

პროგრამის ხანგრძლივობა

- ქართულენოვანებისათვის 50 კვირა (12 თვე)
- არაქარქართულენოვანი 70 კვირა (17 თვე)

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტად ნებისმიერ სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები.

პროგრამის მიზანი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა. პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც

ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტირებისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

1. ააწყოს და დააკომპლექტოს პერსონალური კომპიუტერი;
2. დაამონტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები;
3. დააინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემი;
4. დააინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა;
5. უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება;
6. განასხვავოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები;
7. გაარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP,OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი;
8. გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელი;
9. შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები;
10. მოახდინოს აპარატურული და პროგრამული პრობლემის იდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართაობა.



მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში/ Basic Vocational Qualification in Floor and Tile Works

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საბაზო განათლება

აპლიკანტთა შერჩევი ფორმა

მოტივაციური გასაუბრება

პროგრამის მოცულობა:
ელექტროობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტა ჯამური რაოდენობა:

- ქართულენოვანი ჯგუფებისათვის 83 კრედიტი /2075 სთ/
- არაქარქართულენოვანი ჯგუფებისათვის 98 კრედიტი/2450 სთ /

პროგრამის ხანგრძლივობა

- ქართულენოვანი ჯგუფებისათვის 64 კვირა (16 თვე)
- არაქარქართულენოვანი ჯგუფებისათვის 84 კვირა (21 თვე)

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები

„იატაკისა და ფილის სამუშაოებში“ საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შეიძლება დასაქმდეს სამოქალაქო და სამრეწველო შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე ღია ან/და დახურულ სივრცესა და სიმაღლეზე. ის შეიძლება იყოს თვითდასაქმებული ან დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის სამშენებლო-სარემონტო და დიზაინერულ კომპანიებში, სახელმწიფო ან კერძო საწარმო-დაწესებულებაში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებული იქნება შენობა-ნაგებობის მშენებლობასა ან მის რეკონსტრუქცია-გაძლიერებასთან. მას სამუშაოების შესრულება მოუწევს სხვადასხვა კლიმატის პირობებში. დასაქმების პოზიციები შესაძლებელია იყოს: სხვადასხვა სახის იატაკის მომწყობი; მომპირკეთებელი; ფილის დამგები; სამუშაო რგოლის უფროსი; ბრიგადის უფროსი.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 43
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7123; 7131; 7125

პროგრამის მიზანი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მშენებლობის სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, კერძოდ იატაკისა და ფილის სამუშაოების კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება.

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

1. მოამზადოს იატაკი და კედელი მოსაპირკეთებლად
2. დაახარისხოს ფილები სხვადასხვა ფორმებად
3. დაჭრას ფილები სხვადასხვა ფორმებად
4. მოამზადოს დუღაბი და წებო-ცემენტის ნაზავი ფილებისა და მოზაიკური ფილების დასაგებად
5. დააგოს მეტლახის, გრანიტის, ვინილის ტიპის, რბილი და სხვადასხვა ზედაპირის იატაკი
6. განახორციელოს ბეტონისა და პოლიმერული სამრეწველო იატაკის მოჭიმვა
7. დაამუშაოს გამშრალი დუღაბის და ქვიშა-ცემენტის ხსნარით დამზადებული იატაკი
8. მოაწყოს ფილისქვეშა ჰიდროიზოლაცია
9. მოაწყოს იატაკი ხის მასალისგან უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში / Basic Vocational Qualification in Wall Covering Works

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საბაზო განათლება

აპლიკანტთა შერჩევი ფორმა

მოტივაციური გასაუბრება

პროგრამის მოცულობა:

ელექტროობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტა ჯამური რაოდენობა:

- ქართულენოვანი ჯგუფებისათვის 59 კრედიტი. /1475 სთ /
- არაქარქართულენოვანი ჯგუფებისათვის 74 კრედიტი. /1850 სთ /

პროგრამის ხანგრძლივობა

- ქართულენოვანი ჯგუფებისათვის 45 კვირა (11თვე)
- არაქარქართულენოვანი ჯგუფებისათვის 65 კვირა (16 თვე)

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები

კედლის დაფარვის სამუშაოებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შეიძლება დასაქმდეს სამოქალაქო და სამრეწველო შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე ღია ან/და დახურულ სივრცესა და სიმაღლეზე. ის შეიძლება იყოს თვითდასაქმებული ან დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის სამშენებლო-სარემონტო და დიზაინერულ კომპანიებში, სახელმწიფო ან კერძო საწარმო-დაწესებულებაში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებული იქნება შენობა-ნაგებობის მშენებლობასა ან მის რეკონსტრუქცია-გაძლიერებასთან. მას სამუშაოების შესრულება მოუწევს სხვადასხვა კლიმატის პირობებში. დასაქმების პოზიციები შესაძლებელია იყოს: თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების (კედელი, ჭერი და სხვ.) მომწყობი;

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 43
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7123; 7131; 7125

პროგრამის მიზანი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მშენებლობის სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, კედლის დაფარვის სამუშაოების მიმართულებით, კერძოდ თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება.

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

1. შეასრულოს თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების სამონტაჟო სამუშაოები
2. განახორციელოს კარკასზე, კონსტრუქციაზე ფილების დამონტაჟება
3. შეასრულოს შეკიდული ჭერებისა და მანსარდის სამონტაჟო სამუშაოებიუსაფრთხოების ნორმების დაცვით 4. შეასრულოს ასაწყობი იატაკის სამონტაჟო სამუშაოები

5. ააგოს მრუდწირული კონსტრუქციები.

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამები

კოლეჯს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 4 მაისის N500153 და 2023 წლის 4 მაისის N500151 ბრძანებების შესაბამისად, დადასტურების გზით დამატებული აქვს და უფლება აქვს განახორციელოს ორი პროფესიული მომზადების პროგრამა:

- თაბაშირ-მუყაოს სპეციალისტი
- კედლის და იატაკის მოპირკეთება ფილებით

და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 27 მაისის N548045 და 2022 წლის 13 სექტემბრის N1058800, გადაწყვეტილებებით უფლება აქვს მოპოვებული განახორციელოს შემდეგი პროფესიული მომზადების პროგრამები:

- სასოფლო სამეურნეო დანიშნულების თვლიანი ტრაქტორის ოპერატორი (T კატეგორია)
- მარნის მასპინძელი

პროფესიული მომზადების პროგრამა „თაბაშირ-მუყაოს სპეციალისტი“

პროგრამის მიზანი:

პროფესიული მომზადების პროგრამის „თაბაშირ-მუყაოს სპეციალისტი“, მიზანია კვაიფიციური კადრების მიწოდება შრომის ბაზრისათვის, რომელსაც შეეძლება სხვადასხვა ფორმის ზედაპირების ფართობების და მოცულობების განსაზღვრა, ასევეშეეძლბა ნიშნულების მონიშვნა კედლის კონსტრუქციის მონტაჟისათვის, კონსტრუქციის/კარკასის ელემენტების მონიშნულ ადგილებზე დამონტაჟება. ფილების/პანელების სამონტაჟო წებოთი მონტაჟის სამუშაოების განხორციელება, ნიშნულების განლაგება მოსაპირკეთებელ კედელზე. სამუშაოს შესრულების ხარისხის გაკონტროლება.

შეკიდული ჭერების მოსაწყობად ნიშნულების აღება/მონიშვნა, კონსტრუქციის/კარკასის ელემენტების დამონტაჟება მონიშნულ ადგილებზე და ფილების დამონტაჟება კარკასზე, კონსტრუქციაზე.

პროგრამის ხანგრძლივობა

15 კვირა

დაშვების წინაპირობა:

განათლება: საბაზო

აპლიკანტთა შერჩევი ფორმა

გასაუბრება

დასაქმების შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ, პირი შეიძლება დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის სამშენებლო-სარემონტო კომპანიებში ან იყოს თვითდასაქმებული

სწავლის შედეგები:

1. სხვადასხვა ზედაპირების ფართობების და მოცულობების განსაზღვრა
2. სამონტაჟო სამუშაოების წარმოების პროცესის დახასიათება
ნიშნულების მონიშვნა კედლის კონსტრუქციის მონტაჟისათვის
3. კონსტრუქციის, კარკასის ელემენტების მონიშნულ ადგილებზე დამონტაჟება
4. თაბაშირმუყაოს ფილების, პანელების დამონტაჟება სამონტაჟო წებოთი
5. შეკიდული ჭერების მონტაჟის პროცესის დახასიათება
6. ნიშნულების აღება-მონიშვნა
7. კონსტრუქციის/კარკასის ელემენტების დამონტაჟებამონიშნულ ადგილებზე 9. ფილების დამონტაჟება კარკასზე, კონსტრუქციაზე
10. მანსარდის კარკასზე, კონსტრუქციაზე ფილების დამონტაჟება

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრმის ფარგლებში მიღწეული ცოდა და უნარები.

პროფესიული მომზადების პროგრამა „კედლისა და იატაკის მოპირკეთება ფილებით“



პროგრამის მიზანი:

პროფესიული მომზადების პროგრამის „კედლის და იატაკის მოპირკეთება ფილებით“, მიზანია კვაიფიციური კად-რების მიწოდება შრომის ბაზრისათვის, რომელსაც შეეძლება სხვადასხვა ფორმის, ზედაპირების ფართობების და მოცულობის განსაზღვრა, ასევეშეეძლბა ფილის საჭრელი იარაღების უსაფრთხო და სწორად გამოყენება, ფილის სწორხაზოვნად გაჭრა და მრუდწირულად და წრიულად ამოჭრა, მოსაპირკეთებელი კედლის და იატაკის ხარისხობრივი მაჩვენებლის შემოწმება და ლოკალური დაზიანებების აღმოფხვრა, ნაზავების მომზადება, ნიშნულებისა და შუქურების მოწყობა- მობათქაშება, დუღაბის მოსაჭიმი იატაკის მოწყობა და ფილისქვეშა ჰიდროიზოლაციის გაკეთება, სედლის და იატაკის დაკვალვითი სამუშაოების წარმოება, ფილების კედელზე გაკვრა და იატაკზე დაგება და ნაკერების შევსება სხვადასხვა შემავსებლით.

პროგრამის ხანგრძლივობა

16 კვირა

დაშვების წინაპირობა:

განათლება: საბაზო

აპლიკანტთა შერჩევი ფორმა

გასაუბრება

დასაქმების შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ, პირი შეიძლება დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის სამშენებლო-სარემონტო კომპანიებში ან იყოს თვითდასაქმებული

სწავლის შედეგები:

1. სხვადასხვა ზედაპირების ფართობების და მოცულობების განსაზღვრა
2. ფილების დახასიათება
3. ნიშნულების მონიშვნა კედლის კონსტრუქციის მონტაჟისათვის
4. ფილის სწორხაზოვნად გაჭრა
5. ფილის მრუდწირულად და წრიულად ამოჭრა
6. კედლის და იატაკის ხარისხობრივი მაჩვენებლის დახასიათება
7. ლოკალური დაზიანებების აღმოფხვრა
8. ნაზავების მომზადება
9. ნიშნულებისა და შუქურების მოწყობა- მობათქაშება
10. დუღაბის მოსაჭიმი იატაკის მოწყობა
11. ფილისქვეშა ჰიდროიზოლაციის გაკეთება
12. კედლის და იატაკის დაკვალვითი სამუშაოების წარმოება
13. კედელზე ფილების გაკვრა
14. შემაერთებელი რიგის გაკვრა
15. იატაკზე ფილების დაგება 16. ნაკერების შევსება სხვადასხვა შემავსებლით

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრმის ფარგლებში მიღწეული ცოდა და უნარები.

პროფესიული მომზადების პროგრამა „სასოფლო სამეურნეო დანიშნულების თვლიანი ტრაქტორის ოპერატორი T კატეგორია)

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრი, რომელიც დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებს ხარისხის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით, რომელსაც ეცოდინება ტრაქტორების კლასიფიკაცია, ტრაქტორების ძირითადი და დამხმარე ნაწილების დანიშნულება და შეეძლება მათი იდენტიფიცირება, ტრაქტორების ექსპლოატაციისა და ტექმომსახურების დროს დაიცავს უსაფრთხოების ტექნიკას, შეეძლება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად განკუთვნილი თვლიანი ტრაქტორის მართვა საგზაო მოძრაობის წესების დაცვით.

პროგრამის ხანგრძლივობა

6 კვირა

დაშვების წინაპირობა:

განათლება : საბაზო

აპლიკანტთა შერჩევი ფორმა

გასაუბრება

დასაქმების შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ, პირს შეუძლია აღნიშნული მიმართულებით დასაქმდეს კერძო ორგანიზაციებსა და სახელმწიფოს მიერ შექმნილ მექანიზაციის ცენტრებში, რაიონებში კერძო პირების მიერ შექმნილ ფერმერთა მომსახურების ცენტრებში, შესაძლებელია იყოს თვითდასაქმებული და სხვა.

სწავლის შედეგები:

1. ტრაქტორების ზოგადი აგებულება და კლასიფიკაცია.
2. ტრაქტორების ძირითადი და დამხმარე მოწყობილობები
3. ტრაქტორების ტექნიკური მომსახურება 4. ტრაქტორების ექსპლოატაცია და უსაფრთხოება
5. ტრაქტორის ტარება.
6. საგზაო მოძრაობის წესები.
7. სამედიცინო დახმარება
8. უსაფრთხო მოძრაობის საფუძვლები.
9. ადმინისტრაციული კანონი.
10. ეკო-მართვა.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერაღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრმის ფარგლებში მიღწეული ცოდა და უნარები.

პროგრამის მიზანი:

კურსდამთავრებულმა იცოდეს რეგიონის ძირითადი გეოგრაფიული და ისტორიული, ადმინისტრაციული, ეკონომიკური თუ სოციალური საკითხები. ძირითად ინფორმაცია მევენახეობისა და მეღვინეობის შესახებ; ვაზის უმთავრეს საერთაშორისო და ქართულ ჯიშები და ადგილწარმოშობის დასახელებები სტილისა და სხვა ძირითადი მახასიათებლების მიხედვით.ასევე შეძლოს მარანსაა და საწარმოს ტერიტორიაზე ტურის მომზადება, და სტუმრების მასპინძლობა. გიდის ეთიკის ნორმების გამოყენება; ღვინის დეგუსტაციის ჩატარება, ღვინის სერვირება, ღვინის კერძთან შეხამება და ღვინის წარდგენა საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

პროგრამის ხანგრძლივობა

16 კვირა

დაშვების წინაპირობა:

განათლება: საშუალო ენის ცოდნა: ინგლისური ან რუსული (B1)

აპლიკანტთა შერჩევი ფორმა

გასაუბრება

დასაქმების შესაძლებლობები:

პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ სრულწლოვან პირს, რომელსაც აქვს სურვილი მოკლე დროში მიიღოს კონკრეტული ცოდნა და უნარები, გაიაროს საწარმოო პრაქტიკა და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით ღვინის საწარმოებსა და მცირე მარნებში.

სწავლის შედეგები:

1. რეგიონის ძირითადი გეოგრაფიული, ისტორიული, ადმინისტრაციული, ეკონომიკური და სოციალური საკითხები.
2. ძირითად ინფორმაცია მევენახეობისა და მეღვინეობის შესახებ;
3. ვაზის უმთავრესი საერთაშორისო და ქართული ჯიშები და ადგილწარმოშობის დასახელებები სტილისა და სხვა ძირითადი მახასიათებლების მიხედვით.
4. გიდის საქმიანობისთვის საჭირო ყველა ძირითადი მახასიათებელი, ტურის მომზადება, ტურის გაძღოლა, მარანში მასპინძლობის საფუძვლები.
5. გიდის ეთიკის ნორმების გამოყენება.
6. ღვინის დეგუსტაციის ჩატარება, ღვინის სერვირება და ღვინის წარდგენა საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერაღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრმის ფარგლებში მიღწეული ცოდა და უნარები.

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 01 ოქტომბრის N1243825 გადაწყვეტილებებით უფლება აქვს მოპოვებული განახორციელოს შემდეგ პროფესიული გადამზადების პროგრამა „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გავრცელებული დაავადებების ამოცნობა და მათი მართვა“

პროგრამის მიზანი:

პროფესიული გადამზადების პროგრამის „**მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გავრცელებული დაავადებების ამოცნობა და მათი მართვა**“ მიზანია კვალიფიციური კადრების მიწოდება შრომის ბაზრისათვის, რომელსაც შეუძლია: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ძირითადი დაავადებების პრევენცია, იდენტიფიცირებას და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ძირითადი დაავადებების მართვაში და მკურნალობაში მონაწილეობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში, თანამედროვე სტანდარტების და რეგულაციების შესაბამისად.

პროგრამის ხანგრძლივობა

8 კვირა

დაშვების წინაპირობა –

სამუშაო გამოცდილება მეცხოველეობაში ან/და საკუთარი ფერმერული მეურნეობის მართვა, - 1 წელი

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა

გასაუბრება

დასაქმების შესაძლებლობები:

08 - სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა და ვეტერინარია (ფართო სფერო) 081 - სოფლის მეურნეობა (ვიწრო სფერო)

სწავლის შედეგები:

1. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ძირითადი დაავადებების აღწერა
2. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ძირითადი დაავადებების იდენტიფიცირება
3. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ძირითადი დაავადებების პრევენცია
4. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ძირითადი დაავადებების მართვა

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერაღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრმის ფარგლებში მიღწეული ცოდა და უნარები.



მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნორმირებული კვება

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 01ოქტომბრის N1243820 გადაწყვეტილებებით უფლება აქვს მოპოვებული განახორციელოს შემდეგი პროფესიული გადამზადების პროგრამა „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნორმირებული კვება“

პროგრამის მიზანი:

პროფესიული გადამზადების პროგრამის მიზანია მეცხოველეობის სფეროში კვალიფიციური პირების გადამზადება და მიწოდება შრომის ბაზრისთვის, რომლებიც შეძლებენ: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნორმირებული კვებას: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საკვების სახეობების შეფასებას ხარისხის და უვნებლობის მიხედვით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნორმირებული კვებას მიმართულებების და რაციონის მიხედვით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კვებასთან დაკავშირებული სტანდარტებისა და საკანონმდებლო რეგულაციების გამოყენებას.

პროგრამის ხანგრძლივობა

8 კვირა

დაშვების წინაპირობა

სამუშაო გამოცდილება მეცხოველეობაში ან/და საკუთარი ფერმერული მეურნეობის მართვა, - 1 წელი

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა

გასაუბრება

დასაქმების შესაძლებლობები:

08 - სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა და ვეტერინარია (ფართო სფერო) 081 - სოფლის მეურნეობა (ვიწრო სფერო)

სწავლის შედეგები:

1. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშების აღწერა
2. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მომნელებელი სისტემის აღწერა
3. ხარისხის და უვნებლობის მიხედვით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საკვების სახეობების შეფასება
4. მიმართულებების და რაციონის მიხედვით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნორმირებული კვება
5. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კვებასთან დაკავშირებული სტანდარტებისა და საკანონმდებლო რეგულაციების დაცვა

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერაღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრმის ფარგლებში მიღწეული ცოდა და უნარები.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმერული მეურნეობის მართვა

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 01 ოქტომბრის N1243823 გადაწყვეტილებებით უფლება აქვს მოპოვებული განახორციელოს შემდეგი პროფესიული გადამზადების პროგრამა „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმერული მეურნეობის მართვა“

პროგრამის მიზანი:

პროფესიული გადამზადების პროგრამის „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმერული მეურნეობის მართვა“ მიზანია მეცხოველეობის სფეროში დასაქმებული პირების გადამზადება და კვალიფიციური კადრების მიწოდება შრომის ბაზრისათვის, რომლებსაც შეუძლიათ ფერმერული მეურნეობის მართვა მოწყობის ძირითადი პრინციპების და ფერმერული მეურნეობის დადგენილი სააღრიცხვო საქმიანობის წარმართვით, ფერმერული მეურნეობის ფინანსური და ადმინისტრაციული საკითხების და ფერმერული მეურნეობის მარაგების მართვა, საქმიანი ურთიერთობების დამყარება სახლმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სტრუქტურებთან, შრომითი ურთიერთობების, სტანდარტებისა და საკანონმდებლო რეგულაციების გამოყენებით.

პროგრამის ხანგრძლივობა

8 კვირა

დაშვების წინაპირობა

სამუშაო გამოცდილება მეცხოველეობაში ან/და საკუთარი ფერმერული მეურნეობის მართვა, - 1 წელი

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა

გასაუბრება

დასაქმების შესაძლებლობებ

08 - სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა და ვეტერინარია (ფართო სფერო) 081 - სოფლის მეურნეობა (ვიწრო სფერო)

სწავლის შედეგები:

1. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმერული მეურნეობის მოწყობის ძირითადი

   პრინციპების აღწერა

2. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმერული მეურნეობის სააღრიცხვო საქმიანობა

3. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმერული მეურნეობის ფინანსური და

   ადმინისტრაციული საკითხების მართვა

4. ფერმერული მეურნეობის მარაგების მართვა

5. ფერმერული მეურნეობის საქმიანი ურთიერთობები ოფიციალურ სტრუქტურებთან

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერაღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრმის ფარგლებში მიღწეული ცოდა და უნარები.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერება

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 01 ოქტომბრის N1243838 გადაწყვეტილებებით უფლება აქვს მოპოვებული განახორციელოს შემდეგი პროფესიული გადამზადების პროგრამა „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერება“

პროგრამის მიზანი

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების პროფესიული გადამზადების პროგრამის მიზანია მეცხოველეობის სფეროში დასაქმებული პირების გადამზადება და კვალიფიციური კადრების მიწოდება შრომის ბაზრისთვის, რომლებიც ეძლებენ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნურ განაყოფიერებას უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის წესების შესაბამისად; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერებისთვის საჭირო ინვენტარისა და იარაღის გამოყენებას და მოვლა-შენახვას ინსტრუქციების მიხედვით; თანამედროვე ტექნიკისა და მეთოდების გამოყენებით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მაკეობის დიაგნოსტიკას და კონტროლს, თანამედროვე სტანდარტების და რეგულაციების შესაბამისად.

პროგრამის ხანგრძლივობა

8 კვირა

დაშვების წინაპირობა

სამუშაო გამოცდილება მეცხოველეობაში ან/და საკუთარი ფერმერული მეურნეობის მართვა, - 1 წელი

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა

გასაუბრება

დასაქმების შესაძლებლობები:

08 - სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა და ვეტერინარია (ფართო სფერო) 081 - სოფლის მეურნეობა (ვიწრო სფერო)

სწავლის შედეგები:

1. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშების და ბიოლოგიური თავისებურებების აღწერა
2. ხელოვნური განაყოფიერების გზით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გამრავლების

მნიშვნელობის აღწერა

3. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების ინვენტარის და

მასალების შერჩევა-მოვლა

4. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების პროცედურის წარმართვა
5. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მაკეობის დიაგნოსტიკა და კონტროლი

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერაღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრმის ფარგლებში მიღწეული ცოდა და უნარები.



მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის პირველადი დამუშავება

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 01 ოქტომბრის N1245694 გადაწყვეტილებებით უფლება აქვს მოპოვებული განახორციელოს შემდეგი პროფესიული მომზადების პროგრამა „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის პირველადი დამუშავება“

პროგრამის მიზანი:

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების პროფესიული გადამზადების პროგრამის მიზანია მეცხოველეობის სფეროში დასაქმებული პირების გადამზადება და კვალიფიციური კადრების მიწოდება შრომის ბაზრისთვის, რომლებიც ეძლებენ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნურ განაყოფიერებას უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის წესების შესაბამისად; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერებისთვის საჭირო ინვენტარისა და იარაღის გამოყენებას და მოვლა-შენახვას ინსტრუქციების მიხედვით; თანამედროვე ტექნიკისა და მეთოდების გამოყენებით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მაკეობის დიაგნოსტიკას და კონტროლს, თანამედროვე სტანდარტების და რეგულაციების შესაბამისად.

პროგრამის ხანგრძლივობა

8 კვირა

დაშვების წინაპირობა

სამუშაო გამოცდილება მეცხოველეობაში ან/და საკუთარი ფერმერული მეურნეობის მართვა, - 1 წელი

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა

გასაუბრება

დასაქმების შესაძლებლობები:

08 - სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა და ვეტერინარია (ფართო სფერო) 081 - სოფლის მეურნეობა (ვიწრო სფერო)

სწავლის შედეგები:

1. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის ხარისხზე მოვლის და კვების ზეგავლენის აღწერა
2. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ტრანსპორტირება
3. ხორცის პირველადი დამუშავებისას უვნებლობის და სამუშაო გარემოს მოწყობის პრინციპების დაცვა
4. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაკვლა
5. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაკვლის შემდგომი ხორცის დამუშავება
6. სასაკლაოს რეცხვა-დეზინფექციის გენერალური პროცედურების განხორციელება

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერაღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრმის ფარგლებში მიღწეული ცოდა და უნარები.

მეცხოველეობა-მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლა-შენახვა

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 01 ოქტომბრის №1243842 გადაწყვეტილებებით უფლება აქვს მოპოვებული განახორციელოს შემდეგი პროფესიული მომზადების პროგრამა „ მეცხოველეობა-მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლა-შენახვა“

პროგრამის მიზანი:

„მეცხოველეობა-მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლა-შენახვა“ - პროფესიული მომზადების პროგრამის მიზანია მეცხოველეობის სფეროსთვის კვალიფიციური პირების მომზადება და მიწოდება შრომის ბაზრისთვის, რომლებიც შეძლებენ: მოუარონ, გამოკვებონ და შეაჯვარონ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (მრპ) სხვადასხვა სახეობისთვის შესაბამისი მეთოდებით; დაეხმარონ, რათა შეუნარჩუნონ მათ ჯანმრთელობა და მოამზადონ მოკვდინებისთვის. პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ, რეგულარულად შეამოწმონ ცხოველების ჯანმრთელობა და მიიღონ ზომები მათი ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, ცხოველების კეთილდღეობის დაცვით.

პროგრამის ხანგრძლივობა

36 კვირა

დაშვების წინაპირობა

საშუალო განათლება

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა

გასაუბრება

დასაქმების შესაძლებლობები:

08 - სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა და ვეტერინარია (ფართო სფერო) 081 - სოფლის მეურნეობა (ვიწრო სფერო)

სწავლის შედეგები:

1. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა
2. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სადგომის მოწყობა
3. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კვება
4. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მეთვალყურეობა ესტრუსის ციკლიდან მშობიარობამდე
5. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება ხორცის წარმოების მიზნით
6. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაავადებების ამოცნობა და მართვა
7. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოება
8. მინდვრის და საძოვრების მართვა
9. საკვების შენახვა
10. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნაკელის გამოყენება

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერაღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრმის ფარგლებში მიღწეული ცოდა და უნარები.

პროფესიული მომზადების პროგრამა „ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი“

ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 07 „ოქტომბრის N1284738 გადაწყვეტილებებით უფლება აქვს მოპოვებული განახორციელოს შემდეგი პროფესიული მომზადების პროგრამა „ ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი“

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია, ჰიდროელექტროსადგურების მოთხოვნების გათვალისწინებით, მოამზადოს კვალიფიციური კადრები, რომელიც მიიღებს ცოდნას და გამოუმუშავდება პრაქტიკული უნარები. კერძოდ მსმენელები გაეცნობიან ელექტრო ენერგეტიკულ სისტემებს, ჰიდროელექტროსადგურების მუშაობას, შეძლებენ ჰესზე მუშაობისას უსაფრთხოების ნორმების დაცვას, ჰიდრავლიკური კონსტრუქციებისა და ჰიდრომექანიკური აღჭურვილობის და ელექტრომოწყობილობის განსაზღვრას, ჰესზე ოპერირებას.

პროგრამის ხანგრძლივობა

28 კვირა

დაშვების წინაპირობა

საბაზო

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა

გასაუბრება

დასაქმების შესაძლებლობები:

07 - ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა (ფართო სფერო)

სწავლის შედეგები:

1. ელექტროენერგეტიკული სისტემის მიმოხილვა
2. ჰიდროელექტროსადგურების მუშაობის კონცეფციის აღწერა
3. უსაფრთხოების ნორმების დაცვა ჰესზე მუშაობისას
4. სხვადასხვა ტიპის ჰესებისა და ჰიდროტურბინების აღწერა, მათი გამოყენება
5. ჰიდრავლიკური კონსტრუქციებისა და ჰიდრომექანიკური აღჭურვილობის და ელექტრომოწყობილობის მიმოხილვა
6. ჰესზე დამხმარე სისტემების აღწერა
7. ჰესის ექსპლუატაცია, ტექნიკური მომსახურება, ჰესზე საოპერაციო საგანგებო სიტუაციების მართვა
8. რბილი უნარების განვითარება

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერაღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრმის ფარგლებში მიღწეული ცოდა და უნარები.

მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგის შეფასების წესი

1. კოლეჯში მოქმედი საკრედიტო სისტემით, 1კრედიტი შეადგენს –25 ასტრონომიულ საათს;
2. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
3. შეფასება გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
4. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
5. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა;
6. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის მიღწევის განმეორებითი შეფასება ერთჯერ, წერილობით. განმეორებითი შეფასება შეიძლება განხორციელდეს სწავლის დასრულებამდე ორი კვირის ვადაში.
7. საჭიროების შემთხვევაში, განმეორებითი შეფასების მოთხოვნა უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით (განცხადება) მოდულის დადასტურების ორ კვირიანი ვადის არაუგვიანეს პირველ კვირაში.
8. თუ მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, მაშინ განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის შედეგი დაადასტუროს ორი კვირის ვადაში იმ მოდულის დაწყებამდე, რომელ მოდულზე დაშვების წინაპირობასაც წარმოადგენს აღნიშნული მოდული.
9. შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურებისას, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის/მოდულური პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის/მოდულის კრედიტების ათვისება და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

10. სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების მიმართულებისა და კრიტერიუმის მიხედვით.

11. სწავლის შედეგის დადასტურება ერთი პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ ხდება.

12. შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება.

12[1]. პროფესიულ საგანმანათლბლო პროგრამაზე სწავლების დაახლოებით შუა პეროდში, როდესაც პროფესიულ სტუდნტს გავლილი ექნება მოდულების შესაბამისი სწავლის შედეგების არანაკლებ 40% და არაუმეტეს 60%, ჩატარდება შუალედური შეფასება, რომლის მიზანს წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის პროგრესის დადგენა სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით და მისთვის აღნიშნულზე განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.

12[2]. შუალდური შეფასება არის სავალდებულო და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის გარეშე დაუშვებელია პირზე კვალიფიკაციის მინიჭება.

12[3]. დუალური ფორმით პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, შუალედურ შეფასებაზე დაშვების წინაპირობაა სრულფასოვნად შევსებული ჩანაწესრების ჟურნალი.

12[5]. შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის სავალდებულოობა ვრცელდება 2024 წლის მიღების ფარგლებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე.

13. შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ შედეგებს და შეფასების მიმართულებას.

14. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით დადასტურებას.

15. საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში, მოდულის ქართული ენა A2 , საშუალო და უმაღლეს საგამნანათლებლო პროგრამებში ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების 29-ე მუხლით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით“

სამუშაოზე დაფუძნებული /დუალური სწავლების პირობებში, კოლეჯში/საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასება.

ა) სამუშაოზე დაფუძვნებული სწავლება, რომელიც მიიღწევა მოდულით გათვალისწინებული სასწავლო დატვირთვის 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში, კოლეჯში მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასება რეგულირდება ამ წესის მე-2 მუხლით.

ბ) საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგები კი ფასდება შუალედური გამოცდისა და/ან პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალის (შეფასების მტკიცებულების) საფუძველზე. საწარმოში მიღწეული სწავლის შედეგისათვის პირს მიენიჭება სწავლის შედეგისათვის განსაზღვრული კრედიტი, მიუხედავად ამ სწავლის შედეგის მისაღწევად დახარჯული დროისა.

გ) საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება ხორციელდება, სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 22 თებერვლის N 67 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული წესის და ამ წესში 2020 წლის 17 ივნისის N 29 „ო“ ბრძანებით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად.

პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის მსმენელთა შეფასების მეთოდოლოგია

1. პროფესიული მომზადება/გადამზადებისპროგრამების მსმენელთა შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგ ორი ტიპის შეფასებას:

- სწავლის შედეგი დადასტურდა
- სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

2. გამოუცხადებლობის ან უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის მიღწევის განმეორებითი შეფასება ერთჯერ, წერილობით. განმეორებითი შეფასება შეიძლება განხორციელდეს პროგრამის სასწავლო პროცესის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

2[1]. „თუ შედეგი არის სხვა შედეგზე დაშვების წინაპირობა, მაშინ განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, მსმენელს უფლება აქვს სწავლის შედეგი დაადასტუროს 5-ხუთი სამუშაო დღის ვადაში იმ შედეგის დაწყებამდე, რომელ შედეგზე დაშვების წინაპირობასაც წარმოადგენს აღნიშნული შედეგი“

შეტანილია ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 10 მაისის N 44 „ო“ ბრძანებით.

3. განმეორებითი შეფასების მოთხოვნა უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით (განცხადება) შედეგის დადას-ტურების 5 დღიანი ვადის პირველ 3 დღეში.

4. აღნიშნულ ვადაში შესაბამისი შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მსმენელი ვერ იღებს უფლებემოსილი დაწესებულების მიერ გაცემულ დოკუმენტს-სერტიფიკატს, რომელიც ადასტურებს პირის მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიღწევას.

5.სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდება პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების შესაბამისად. შეფასება შესაძლებელია როგორც ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს, ასევე პროგრამის დასრულებისას, თუ ის არ წარმოადგენს სხვა შედეგის წინაპირობას.

6. შეფასების მიმართულებები/შეფასების მეთოდები მოცემულია შესაბამის პროფესიულ მომზადე-ბა/გადამზადების პროგრამაში.

7. იმ პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებში, რომლის ზოგიერთი სწავლის შედეგი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (სასწავლო საწარმოშო/კომპანიაში) მისაღწევი სწავლის შედეგის შეფასებას ახორციელებს გამოყოფილი ინსტრუქტორი.

8. პროგრამის განმახორციელებელი/ინსტრუქტორი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/მტკიცებულებებს და მათ საფუძველზე შედგენილ უწყისებს, პროგრამის დასრულებიდან არაუმეტეს 2 კალენდარული დღისა, გადასცემს კოლეჯის ზრდასრულთა განათლების კოორდინატორს. შეტანილია ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 16 ივნისის N 57 „ო“ ბრძანებით.

9. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები/მტკიცებულებები ინახება 3 წელი, შეფასების უწყისები მუდმივად.